ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა #151

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.თბილისი 24 ოქტომბერი 2016 წ

ერთის მხრივ, სსიპ ი.ბ.სტალინის სახელმწიფო მუზეუმი (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ლიანა ოქროპირიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „კლიჩტექი" (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვლადიმერ ჭელიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია თხევადი საპონის (CPV: 33711900), ტუალეტის ქაღალდის (CPV: 33761000) და ქაღალდის ხელსახოცის (CPV: 33764000), შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია სასაქონლო ზედნადებში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 6 ცალი თხევადი საპონის ღირებულება შეადგენს (ერთ.ფასია 12,50 ლ) 75 (სამოცდათხუთმეტი) ლარს, 216 ცალი ტუალეტის ქაღალდის ღირებულება (ერთეულის ფასია 3 ლ) 648 ლარს, 42 ცალი ქაღალდის ხელსახოცის ღირებულება შეადგენს (ერთეულის ფასია 8,64 ლ) 362,88 (სამასსამოცდაორი ლ 88 თ) ლარს, სულ საერთო ღირებულება შეადგენს 1085,88 (ერთიათასოთხმოცდახუთი ლ 88 თ) ლარი.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით, სასაქონლო ზედნადების ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე ქ. გორი სტალინის გამზირი #32

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი სარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.
6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 24 ოქტომბრიდან 25 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ ი.ბ.სტალინის სახელმწიფო მუზეუმი ს/კ 217890290 მის: ქ. გორი სტალინის გამზირი #32 ტელ: 0(370) 27 54 15	შპს „კლინტექი" ს/კ 204442451 მის.: თბილისი ჩიტაძის ქ#6/505 ტელ.: 032 2 92 22 02
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი TRESGE22 სახაზინო კოდი 708577212	საბანკო რეკვიზიტები: ვი თი ბი ბანკი ჯორჯია ბანკის კოდი UGEBGE22 ა/ა GE73VT1100055555555555
დირექტორი (ხელმოწერა)	დირექტორი (ხელმოწერა) ბ.ა